„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი ა. იაშვილი აკაკი იაშვილი
“10“ 02 2023 წ.

საქართველოს სენიორთა ჩემპიონატი კაცთა და ქალთა შორის
10 - 17 მარტი, 2023 წ.
ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე, კოსტავას 29

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. **ორგანიზატორი:**
   საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.
2. **ტურნირები:**
2.1. ღია ტურნირი;
2.2. ქალთა ტურნირი.
3. **ღონისძიების მართვა:**
   განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.
4. **სათამაშო წესები:**
4.1. დროის კონტროლი: 60 წუთი პარტიის ბოლომდე, 30 წამის დამატებით ყოველ სვლაზე.
4.2. ტურნირები ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 7 ტურად.
4.3. ქალთა ტურნირში 10-ზე ნაკლები მონაწილის შემთხვევაში კაცთა და ქალთა ტურნირები გაერთიანდება.
4.4. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.
4.5. დაითვლება ფიდეს რეიტინგი.
5. **მონაწილენი და რეგისტრაცია:**
5.1. ჩემპიონატში დაიშვებიან საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრები.
5.2. ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ 1974 წლის 1 იანვრამდე დაბადებულ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრ კაცებს და ქალებს.
5.3. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/hyNLN2Q1V6jbkr4i8 ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ პირადობის მოწმობის ასლი.
   რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2023 წლის 9 მარტი 18:00 სათი.
   რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.
   ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83
5.4. სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
6. **თაი – ბრეიქი:**
   ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:
   1. ურთიერთშორის შეხვედრა;
   2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
   3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
   4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;
   5. მოგებების მეტი რაოდენობით.

7. **ტურნირის განრიგი:**

ტური	რიცხვი	საათი
ჩამოსვლის დღე	10 მარტი	
I ტურის კენჭისყრა	11 მარტი	12:00
გახსნა		14:45
I ტური		15:00
II ტური	12 მარტი	15:00
III ტური	13 მარტი	15:00
IV ტური	14 მარტი	15:00
V ტური	15 მარტი	15:00
VI ტური	16 მარტი	15:00
VII ტური	17 მარტი	15:00
დახურვა	17 მარტი	18:00

8. **პრიზები:** საპრიზო ფონდია 3000 ლარი.

ადგილი	ღია	ქალები
1	800	600
2	600	400
3	400	200

- თანაბარი ქულების შემთხვევაში პრიზები არ გაიყოფა.
- კაცთა და ქალთა ტურნირების გაერთიანების შემთხვევაში, თუ ქალი მოიპოვებს 2 პრიზს როგორც კაცთა ასევე ქალთა შორის, მაშინ მას აქვს ორივე პრიზის აღების უფლება.
- პრიზები იბეგრება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

9. **დაჯილდოება:**
- 1 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით და დიპლომებით.
- 2-3 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით.
- 1-3 ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს მიენიჭებათ სპორტის ეროვნული ოსტატის წოდება.

10. **საერთო წესები:**
- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება;
- ღონისძიება ტარდება ფიდეს სამართლიანი თამაშის წესების და დებულებების შესაბამისად. წესების დარღვევის შემთხვევაში, საკითხი რეაგირებისთვის გადაეცემა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ეთიკისა და სამართლიანი თამაშის წესების დაცვის კომისიას.
- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში. მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა
მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - მარგალიტა თანდაშვილი